

K 19 513
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მადრიდის ბრძოლა

СВАНЕТИЯ — КРАСИВЕЙШИЙ УГОЛОК ГРУЗИИ. ОН СЛАВИТСЯ ФАНТАСТИЧЕСКИМИ УЩЕЛЬЯМИ И ВЕРШИНАМИ, ПОКРЫТЫМИ ВЕЧНЫМ СНЕГОМ. СВАНСКАЯ НАРОДНАЯ ПОЭЗИЯ ТАКЖЕ МОНУМЕНТАЛЬНА И САМОБЫТНА КАК ПРИРОДА И АРХИТЕКТУРА ЭТОЙ СТРАНЫ.


ЗАСЛУЖЕННЫЙ ХУДОЖНИК РЕСПУБЛИКИ ВАХТАНГ ОНИАНИ НА ОСНОВЕ ПЕСЕННЫХ ВАРИАНТОВ ВОССТАНОВИЛ И ОБРАБОТАЛ, С ЛИТЕРАТУРНОЙ ТОЧКИ ЗРЕНИЯ И ПРОИЛЛЮСТРИРОВАЛ ГЕРОИЧЕСКИЕ ЭПИЗОДЫ ИЗ ЖИЗНИ БОЮЩИХСЯ ЗА СВОБОДУ СВАНОВ.



SVANETI IS ONE OF THE MOST BEAUTIFUL REGIONS OF GEORGIA. IT IS FAMOUS FOR ITS FANTASTIC CANYONS AND SUMMITS COVERED WITH ETERNAL SNOW. THE NATIONAL POETRY OF SVANETI IS AS MONUMENTAL AND ORIGINAL AS THE NATURE AND ARCHITECTURE OF THE REGION. THE HONOURED ARTIST OF GEORGIA VAKHTANG ONIANY HAS RESTORED AND TREATED ON THE BASES OF SONG VARIANTES FOR THE POINT OF VIEW OF LITERATURE, AND HAS ILLUSTRATED HEROICAL EPISODES FROM THE LIFE OF SVAN PEOPLE, STRUGGLING FOR FREEDOM.

K 19 513
4

საქართველოს
პრეზიდენტის
სამდივო







სვანური ხალხური პოეზია მოიცავს ადამიანური სულის თითქმის ყველა სფეროს. ამ პასიმღერო, კეთილზმოდან ლექსებში პოეტურადაა წამოწეული სვანების საგმირო თქმულებები, ურთიერთობის მწვევე სიტუაციები.

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია სვანური ხალხური პოეზიის ორი ნიმუში — „ვიციბილ-მაცბილ“ და „ლუბსუყე ჯაჭვლან“. ორივე თქმულება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი და სვანეთში ბატონყმობის პერიოდს ეხმაურება.

სვანეთში ამ ორი თქმულების მრავალი სასიმღერო ვარიანტი არსებობს. სადაც სხვადასხვა მთქმელი თავისი სოფლის ინტერესებს გამოხატავს. თუმცა მათი მიზანი ერთია — თავისუფლების, თემის შეუვალობის შენარჩუნება.

თავისუფლებისათვის მებრძოლი სვანების ცხოვრების გმირული ეპიზოდები ამ ორი თქმულების რამდენიმე ვარიანტის საფუძველზე აღადგინა, ლიტერატურულად დაამუშავა და დაასურათა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვახტანგ ონიანმა, რომელიც სვანური ფოლკლორის გამოვლინებაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.





ქართული
საქართველი

საბავარი სავსური ეპოქი



გამომცემლობა „საბავარი სავსური ეპოქი“ თბილისი 1971

შატავა ვახტანგ მნიანი

საპატენტო
ქვეყნული
ბიბლიოთეკა



სეანეთში ბატონეშობამდე ყოველ თემს მხეში (უბუცესი) განაგებდა, შემდეგ, როცა თანდათან ბზარი შეეპარა თემურ წყობილებას, ზოგან (ბალსქვემო სეანეთში და ცხენისწყლის ხეობის სეანეთში) განდნენ პრივილეგიური, „კურთხეული“ გვარები: რუჩევიანები, დარჩქელიანები, ველოვიანები, ღიბიანები. ასეთი დავოფის შედეგად, თავისუფალ და საბატონო სეანეთს შორის სწორად იღვრებოდა სისხლი. ეს ბრძოლები დღემდე შენახულია ლეგენდებში და „ლიშიალით“ არის ცნობილი, რაც ხელნართულ ბრძოლას ნიშნავს.

ბაღს ზემო თავისუფალ სეანეთსა და ბალსქვემო სეანეთის თავადებს შორის მიმხდარი ბრძოლების ეპიზოდებს ასახავს შრაველი სეანური ლეგენდა და სიმღერა, რომელთაგან თავისი ფორმით, შინაარსის მთლიანობით გამოირჩევა „ვიცბილი-მაცბილი“ და „ლებსუეე ჯაჭვლან“.

ვიცბილი და მაცბილი (ძმები კიბოლიანები) უბატონო ლატოლის შვილები არიან. ძმები თავს გასწირავენ, დარჩქელიანებისა და რუჩევიანების მიერ სოფლისათვის მიუყენებულ ტვიცილებს ვერ ურიგდებიან და შურისისძიებლად ტყეში ვეპარდებიან. ისინი უთინასწარი ბრძოლაში იღუპებიან, მაგრამ ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ მათი სოფელი თავისუფალი რჩება. იმედის ზარივით გაისმის ძმების გმირული ხმა:

— „იმ დიდთავა სორთმანელას,
ერთი ტყვია გავუგზავნით,

Handwritten notes in blue ink on the left margin, including the word 'წინა' and some illegible characters.

ისარიც იქ გავისრულეთ...

— კუთხვა თოფთა დაქუცება
გვეშლარის მთას გაეგონოთ,
უსისხლარი აზა ვრჩებიო!

შეორე სიმღერის მთავარი გმირი ლეოსუვე ჯაჭვლანიც თავისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძვის. ამისათვის იგი არაფერს ერიდება. მრავალჯერ ტყვედნამყოფი კვლავ ჩაუვარდება მტერს ხელში, მაგრამ თავისი ვაჟკაცობითა და მოხერხებულობით დააღწევს თავს. ამით „ვითომ“ ილტაცებული დარჩქელანი მეგობრობასა და მამულს სთავაზობს ჯაჭვლანს, მაგრამ ლეოსუვემა კარგად იცის, ყველაფერს თავისუფლება სჯობია:

„—თავისუფალი კაცი ვარ ვითარ,
ეშა ფრთაშობრილი არწივი არის,
თავისი ნებით ვერ გაფრინდება,
ესეც არ იყო, ვითარ დარჩქელანო,
თავისუფალი ზევის შვილი ვარ.
ეშად რომ დაგიდგე, ზევი დამციწნებს —
ეს წომ სიკვდილზე უარესია...“

ეს სიმღერები მეტად პოპულარულია სვანეთში. არსებობს მათი საფერხულო რიტუალი. ორივე სიმღერის სხვადასხვა კარიანტებში შინაარსი ერთია: „თავისუფლების შენარჩუნება“. ამ ორი სიმღერის ერთმანეთთან დამაკავშირებელი რგოლი დარჩქელანია.

რომელიც პირველ სიმღერაში მისილად დამპირობად ვეველინება, ხოლო მეორე სიმღერაში — ცბიერ ბატონად.

ეს ორი სიმღერა საშუალო საუკუნეებში—საქართველოში ფეოდალისმის აღორძინების ხანაშია შექმნილი, შათი პოეტური ფესვები უძველესი ქართული კულტურის სიმყაროდან იღებენ სათავეს.

ახლა როცა სვანების ცხოვრებაზე, შათ მძიმე წარსულზე ვვებთან, ეს იმდენად შორს არის საუკუნეებში გადაკარგული, რომ თვით უხუცესთა დიმილსაც კი იწვევს. როგორც ეს ვრთ სვანურ სიმღერაში არის ნათქვამი:

„ვასახელი ცისკენ შევექმნა“...

შათ ჯერ კიდევ იმ მძიმე წარსულში ბქონდათ იმედი, ნათელი მთავლისა:

„ხადაც სინათლე იქნება,
ვევლებან სამყოფი ვევეჩება“...

ახალი დრო, ახალი ადამიანები, სოფლები, ახალი ვლები, ვლები, რომლებიც სვანეთიდან მიემართება. ამ ვლებზე დადიან შსოფლის ვველა კუთხიდან ჩამოსული მოგზაურები, ისინი ისმულენ ბიან სვანეთის დიდებული ბუნებით. შათი მეგზური და საიმედო მველობები სვანები არიან: ვველასთავის ცნობილია, რომ სვანმა ალბინისტებმა საქვეყნოდ გაითქვეს სხელი, თავისი ტრადიციული გამოცდილებით დიდი წელიწადი შეიტანეს საბჭოთა

ალბინიზმის განვითარების ისტორიაში, დიდი ხანია დაიშვრება დეოდალური კარნაქტილობის თვითმისწერი კანონები. დღეს სვენიო ახალ ცხოვრებას შესისხლხორცებული საერთო უღელს ეწევა ქართული კულტურის ფართო ასპარეზზე.


წინამდებარე წიგნის ყველა მონაცემი გაანალიზებულია „სენურ პოეზიაში“, (რედაქტორი ვ. თოფურია 1939 წელი). „ვიცობლ-მაციბლ“ ჩაწერა 1923 წელს ა. შანიძემ, მეორე ვარიანტი—ვ. თოფურიამ 1927 წელს ეცერში ს. შერვაშიძისაგან. „ლემსუკვ ჯაჭუღანი“ ჩაწერა მ. გუჯეჯიანიმა დ. შარვაინისგან 1936 წელს. მისივე სხვა ვარიანტი ჩაწერა მ. ნიგურიანიმა დ. ნიგურიანისგან 1936 წელს. შესაძებ ვარიანტი ჩაწერილი და გამოქვეყნებული ი ნიკრაძის მიერ „ნაშყურის“ სახელწოდებით.—მასალთა კრებული XXXI, განყოფილება IV.

სგანური პოეზიის შესავალში ა. შანიძე და ვ. თოფურია მიუთითებდნენ, რომ: „ვარიანტების მიხედვით თავისუფლად შეიძლება ზოგიერთი შერყვნილი ლექსის პირვანდელი სახით აღდგენა, მაგრამ გავრცელებული სიმღერების ბუნებრიობა რომ არ დაგვერღვია, ამისაგან თავი შევიკავეთ“. ამ თქმულებათა ცალკე გამოცემა ცხადყო მათი ვარიანტის მიხედვით დამუშავებისა და შეკების აუცილებლობა დანარჩენი დოკლორული მასალის გამოყენებით.

პახტაგ 1961/60



ჰიქსილ-
-ქიქსილ







იღვბა, თქვენი კარგო ძეგბო,
გეძახნიან ვიციბილ-მაცბილს;
ლატბაღულო ვაქკაცეგბო,
არ ჩაძრეგბა თქვენი სხივი,
თავისუფბაღ ლეძისბათვის
ღავიღვრბაღთ წმინღა სისხლი,
თქვენი კაცობგბს იმღეგბეგბენ
თოთბანიღან გურბის გთბაღღ,
ხბღსბს ცგეგბღბით ღბსკულღვბა
გობგბგბუნე ჩანგბის სბმბ.





2. დიდ აღდგომის შაბათ ღამით
ფუსდაი ვოთარ დარჩქელანი
სტუმრებს იწვევს სანადიმოდ,
და სალაშქროდ მიჰყავს ყველა,
დოღს და ებუთს ეჩემება —
ეცერლებმა დასდეს ფიცი.
მიადწიეს დოღს და ებუთს;
მაგრამ ომი ვერ გამართეს...

ოი, ღვთისგან დალოცვილი
არღვლიანთა თეთრი ქალი,
3. როცა იგი აგაამს გვიდა,
ყური მოჰკრა მტრების ჩურჩულს.




გულას გაბრიელს შეევედრა:
ო, წმიდაო გულას გაბრიელ,
მტრის ლაშქარი მოგვესია,
შენ ჰფარავდე ამ ჩვენ მიწას!

სამრეკლოზე აძვრა ქალი,
ზარებს რეკავს შუალამით.
— წამოდექით, დოღლეებო,
შინ არ დაგრჩეთ მშვილდისარი.

4. სოფელს მტერი მოესია.
და სალუყვან თეთრი ქალი,
არღვლიანთა სასახელოდ
მტერზე მიდის კუთხვა თოფით.
მის მხარდამხარ იბრძვის თოყი,







მტერს არ ცდება მათი ტყვია.

ომს ვერ მართავს დარჩქელანი...
დარჩეულმა შვიდმა კაცმა,
შვიდმა დოღელ-ებუთელმა.
მტრები უკან გააბრუნეს.

5. ფუსდაი ვოთარ მხარში დაჭრეს,
ხის საკაცით წაასვენეს,
ცხრა ეცერელ მოდალატეს
სიცოცხლის მზე დაუბნელეს.
ცხრა ეცერელს სამუდამოდ
ნატყვიარი დააჩნიეს.
ვინც ცოცხალი გადაურჩათ,





სამუდამოდ დააშინეს,
და სალუყვან არღლიანი
ცხარე ცრემლით დაიტირეს.
6. დაკოდილი თავბეჭილა
მთის ქაშანით გაქცეულა,
ძლივს მივიდა ბარისამდე,
აქ ეცერელ ბავშვებს, ქალებს
ფერხული აქვთ გამართული...
გამარჯვებულ ჯარის ნაცვლად,
დაჭრილ თავბეჭს მოჰკრეს თვალი.
„ყველა თავის მკვდარს კითხულობს,
მე კი არვის ვებრალები“.





— თქვე საწყალო ეცერლებო,
7. რა გამღერებთ, რა გაცეკვებთ?!
ზოგს მოგივათ სახლში მკვდარი;
ზოგიც მოვა დაკოდილი;
ვოთარ ფუსდაი ბეჭში დაჭრეს,
და საკაცით მოჰყავთ აქეთ...

ოი, ქრისტეს დალოცვილი
ალექსანდრე დარჩქელანი,
ბარსის სვიფში წამალს ნაყავს,
შურს იძიებს მტრებზე მალე,
თითქოს მათდა შემწეულ მიდის;







8. შერია დოლს და ებუთს...

ვოი, ვოი, ეცერ ცხუმარ!
უღალატეს დოლს და ებუთს;
უღალატეს ოი, დამით
შეუვარდნენ ოჯახებში:
— თქვე გლახაკო, დოლელებო
რად დაკოდეთ ვოთარ ფუსდაი?!
შვიდი დაჭრეს მათ დოლელი,
შვიდი მოკლეს ებუთელი.
სოფელს ცეცხლი წაუკიდეს,
9. ცას სწვდებოდა ცოდვა-ბრალი.

Handwritten text on the left margin, possibly a page number or reference.

საბავშვო
ბიბლიოთეკა





ო, საბრალო ვიცბილ, მაცბილ
ტყედ გაჭრილხართ მტრობის გამო
დაემტერეთ დარჩქელანებს.
სამი წელი შინ და გარეთ
ტყვია-წამალს იმარაგებთ,
მეოთხე წელს ლაღლერის კოშკს
შეეხიზნეთ ღვიძლი ძმები.
სამი წელი ეცერ-ცხუმარ
დარჩა უხნავ-უთესავი.

10. ო, საბრალო ვიცბილ, მაცბილ,
უთანაბრო ომი გელით,
ვერ გაუძლებს ამდენ ლაშქარს



უბატონო ჩვენი ხევი,
მტერს არ მისცეთ სათარეშოდ,
ძმებო, ისე ნუ მოკვდებით,
არ დატოვოთ თქვენი კვალი!


— ჩვენ ლატალის ბოლოს უსახლობთ,
მშვიდად ყოფნას არ გვაცლიან,
ავიყრებით ლატალიდან,

11. სისხლით მორწყულ კვალს დავტოვებთ.

მეთორმეტე წელი გადის
თბილი პური გვენატრება,
მეთორმეტე წელი გადის,
შინ ცხოვრება გვენატრება,







ჩვენი ცოდვით არ იხარონ.
უნდათ ჩვენი დამონება.

ვაი მათ-და უბედურებს!
ვერ იტანენ ჩვენს სიმდიდრეს,
ჩვენს სიკეთეს ვერ იტანენ

12. მათ შურთ ჩვენთვის ცოლი, შვილი,
ენანებათ ჩვენთვის მიწა.
სასლი, ცხენი, ძროხა, ხარი,
ვაი მათ-და უბედურებს,
ვაი ეზლოთ ეცერ-ცხუმარს.
რად იკისრეს ასე უღვთოდ
დარჩქელანთა ლიკვალედი?





ვაი მათ-და უბედურებს!
გული რარიგ შებიღწვიათ.
კარგ ხორცს ვარგალს მიართმევენ,
13. თვითონ ჩლიქებს იტოვებენ.

ვაი მათ-და უბედურებს
დარჩქელანებს ქედს უხრიან.
ტანთ პერანგი არ აცვიათ,
სგურს კი ვარგალს უზიდავენ.
ვაი მათ-და უბედურებს!
შესჩევეიან მონურ ლაქუცს;
ვარგალს მუხლებს უკოცნიან
ჯოხს უთლიან თავის საცემს.





- არ სცხვენიათ ნეტავი მათ
14. დარჩქელანთა ლიფემალე!
ვიდრე თავზე ქუდი გვხურავს
და სინდისი შეგვრჩენია,
უძრახველი ამოვწყდებით.
ვერ მივართმევთ ქალებს ვარგაღს.

ო, საბრალო ვიცბილ-მაცბილ!
თავს დაგესხა ბეწო-ცხუმარ.
უფროსობა არვის უნდა.
— ლაშქრის მძღოლად ვინ ივარგებს?
— მართალ გაგულს ვინ აჯობებს!

15. კოშკით ძმებმა გადასცახეს:





— ნებზერო მართალ გაგულ!
სახლში ყოფნა არ გერჩია,
შავთვალწარბა ცოლთან წოლა?

მაგ თეთრ ჩოხას, მართალ გაგულ,
შენივ სისხლით შეგიღებავთ.
ჩვენ კი ვიცით ლაშქრის მძღოლად
თავმდაბლობამ მოგიყვანა;
წელის ზემოთ არ დაგკოდავთ,
წელს ქვევით კი არ დაგზოგავთ.

16. მართალ გაგულ გაგულისდა,
ძმებს მუქარა შეუთვალა.



შდულვარს ტყვია დაუშინა.
მაშინ ძმებმა საპასუხოდ,

ორი ტყვია გაუგზავნეს:
მკერდში მოხვდა მართალ გაგულს!
ჩოხა წითლად შეუღებეს.
ლაშქარს გული დასწყვეტია,
დამარცხდნენ და გაქცეულან...

- ო, საბრალო ვიცილ, მაცბილ!
17. ღამე მაგრად დაგეძინათ,
მაშინ მტრები მოგიბრუნდნენ,
მოგესია ბეჩოს ჯარი,






— ავლაც, ძირამოსაგდებო!
არ გერჩია სახლში ყოფნა,
ახალშერთულ ცოლთან წოლა?! —
იცოდე, რომ მაგ თეთრ ჩოხას
წითელფერად შეგიღებავთ:

- ძმებმა ტყვია დაუშინეს,
18. ტყვიით მკერდი გაუხვრიტეს,
მოკვდა ავლაც ბეჩოელი,
და ლაშქარი უკუიქცა...
და მესამე წყეულ ღამეს
ჯარის თავი სორთმანია.
სორთმანს ომი დაუწყია,







რას დააკლებს ვიცბილ-მაცბილს!
— ვაჰ დედაშენს, დიდო სორთმან,
რად იმეტებ საბრალო ძმებს?!

დაწყველილმა დიდ სორთმანმა
19. ჩუბე ხევიც შეიმატა.

ზემო ფოყზე დაბინავდნენ,
ტყის თავამდე აიპარნენ,
ძეგვის ტოტებს კონად კრავენ.
შიგნით კაცებს დამალავენ —
ასე ექვსი ეცერელი
კოშკის ძირას შეპარულა.





საძირკველი გამოუღეს
ძირში შეშა მიაყარეს,
კოშკი ცეცხლში გაახვიეს,
20. ალმა შდუღლვარს მიაღწია.
შუქი მიდის გვეშლარს ზემოთ.

აჭ, საბრალო ვიცბილ, მაცბილ
თურმე რული მოგეკიდათ,
რული თქვენი დაღუპვისა.
რა სიზმარი დაგესიზმრათ:
„ლადღერის თავს მზე შავობდა,
ძირს ცვიოდა ვარსკვლავები“.
ცეცხლის ალმა გაგადვიდათ.
სიმწრის ოფლი შუბლზე გასხამთ.





21. ო, საბრალო დვიძლო ძმებო,
თქვენი თავი დაიტირეთ,
დღე დაგიდგათ უბედური!
გულაშ გაბრიელს მოუხმობენ,
შეავედრეს თვისი ხალხი.
— ო, წმიდაო გულაშ გაბრიელ!
მეთორმეტე წელი გადის,
ეცერ-ცხუმარს დავემტერეთ,
შვიდი კერა რიჩვიანთა
ნაცარტუტად გვიქცევია.
22. ომი გვექნება უკანასკნელი...
და უსისხლარი ჩვენ არ დავრჩებით.







- ორი გასროლა წამალი დაგვრჩა,
გახსურებულა კუთხვა თოფები,
თითოზე ორი ისარი დაგვრჩა,
და გაბზარული კოშკის კედელი,
აქ ტანჯვა იყო ჩვენი ცხოვრება,
მაგრამ სირცხვილი არ გვიჭამია.
ძმაო, ერთმანეთს დავემშვიდობოთ
და... აგვინთებენ სანთლებს შვილები.
23. შდულვარიდან გაიხედეს
იჯდა სორთმან კოშკის თავზე,
ხევეს სიცილით აყრუებდა
და ხარხარი ცხრა მთას ძრავდა.






— იმ დიდთავა სორთმანელას
ერთი ტყვია გაგუშვანოთ.
ისარიც იქ გავისროლოთ...
— კუთხვა თოფთა დაქუსება
გვეშლარის მთას გავაგონოთ.
უსისხლარი არა ვრჩებით!

24. ძმებმა სორთმანს დაუმიზნეს —
ერთი ტყვია შუბლში მოხვდა,
მეორემ მკერდს გაუარა.
მტრის დაცემის მოლოდინში
თვითონ მოკვდა დიდი სორთმან,






წითელ-ყვითელ სისხლს ანთხევდა.
სორთმანს სული ხდებოდა,
ძმებს კოშკი ერყვოდათ.
სორთმანს სული ამოხდა
ძმებს კი კოშკი დაენგრათ.

25. ატ, საბრალო ვიცბილ-მაცბილ!
ეს დღე იყო თქვენი ბოლო.
ჰოი, საბრალო თქვენი შვილები
ობლებად დარჩნენ ამ ქვეყანაზე,
ჰოი, საბრალო მშობელი დედა
მზის სინათლეზე აღარ გამოდის,







მიწაში უწევს ორი ვაჟკაცი.
ლატალს ხალხი შეიყარა,
გულაშ გაბრიელს შეესია,
26. „გარცემს“ შეუდგა მთელი სოფელი:
„ოი ლადღერის მთის ანგელოზო,
გულაშ გაბრიელ!
შენ დაამხე ჩვენი ორგული,
ეცერ-ცხუმარის თავადები!
ოი, გულაშ გაბრიელ!
ისმინე ჩვენი და აღასრულე:
— არ იხაროს თქვენს მიწაზე
ხემ მსხმოიარემ,





- „არ იხაროს!“
27. — არ იხაროს თქვენს მიწაზე
ქალმა შშობიარემ.
„არ იხაროს!“
- არ იხაროს თქვენს მიწაზე
კაცმა მარჩენალმა.
„არ იხაროს!“
- არ იხაროს თქვენს მიწაზე
ცხენმა მარბენალმა.
„არ იხაროს!“
- არ იხაროს თქვენს მიწაზე
28. ხარმა უღლის გამწევემა,





„არ იხაროს!“

— არ იხაროს თქვენს მიწაზე
ძროხამ მეწველმა.

„არ იხაროს!“

ამინ!

გულაშ გაბრიელ!

შენ დააქციე ჩვენი დამქცევი.

შენ ამოწყვიტე ჩვენი ამომწყვეტი,

შენ მიუზღვე ტანჯვა ჩვენს მტანჯველს.

29. ამინ!

„გულაშ გაბრიელ!

შენ იხსენი ჩვენი მიწა მტრისაგან.

ჩვენი ბავშვები — შიმშილისაგან.





ჩვენი მოხუცები — სიკვდილისაგან.
ჩვენი საქონელი — ჭირისაგან.
ამინ!

ოი, ლადლერის მთის ანგელოზო,
გულაშ გაბრიელ!
ისმინე ჩვენი და აღასრულე!
30. შენ მიუზღვე ყველას თავისი!
ამინ!

წითელ ხარს შეგწირავთ
რქაზე სანთელი ენთება.
თეთრ გიცარს შეგწირავთ,
რქები ოქროსი ექნება.
წმიდა წყალს დაგიდგამთ —
ნათელ-მირონი იქნება.






- წმიდა პურს დაგიცხობთ
ყირმიზის ფქვილის იქნება.
31. სამ წყრთა ქერახსს აგინებთ
წმიდა სანთელი იქნება.
ოი, ლადღერის მთის ანგელოსო,
შენ დაგვიფარე.
ამინ!
- ასემც ღმერთს დაულოცისხართ
ირგვლივ მყოფნი კაცნი ყოველნი:
ამინ!



საქართველოს
საზღვრო დაცვის
სამსახურის
სახელმწიფო
სამსახური





ი, საქეპარო ლეგსუყ ჯაჰვლანო,
ხეჰი რეჰულო ლეგსუყ ჯაჰვლანო.
ღონე გჰონია რუხი დათვისხა,
სიჰარღე, გჰონია თეთრი ჯიხვისხა,
თჰალი გჰონია შავი ქორისხა.
ტანჯჰვა-წამეჰა არ დავკლეგია,
შენ შეჰკლეგია შეჰკლეგელოც,
მრავალ განსადღელს გადარჩენილხარ
მაგრამ დღღატხ კი ვერ გაღურენი.






2. ო, საქებარო ლეხსუყვ ჯაჭვლანო,
სამტროდ დადიხარ ქაშაგთ მხარეში
სამტროდ დადიხარ სავს და ჩეჩნეთში.
დარჩქელანისგან კაცი გეწვია
ფუსდაი ვოთარ დარჩქელანისგან.
მან მიგიწვია, და შენც ეწვიე.
აშლიანების სახლს მიაღექი,
მოყვრულად წინა კარი გაგიღეს,
3. უკანა კარი მტრულად ჩარაზეს,
მთელი ოჯახი შენ თვალწინ ისხდა,
დალატზე ფიქრიც არა გქონია,
სუფრა გაშალეს, რანგი დაასხეს...
მობხუცი ქალი ფქვილზე წასულა,
იმ კუდიანმა შენს მტერს აცნობა.



- თავზე დაგესხა ცხრა ეცერელი
ერთს სწყურებია შენი გაყიდვა.
ბორკილგაყრილი დარჩქელანს მიგგვარეს.
— ო, დიდებულო ვოთარ ბატონო,
4. სტუმრად მომიწვიე, მტრობა გამიწიე,
ბორკილდადებული შენი ტყვე გავხდი.
ორ სიტყვას გეტყვი და მომისმინე,
მერე რაცა გსურს, ის აღასრულე.
— თქვი, რაც გენებოს, ლებსუყვ ჯაჭვლანო.
— ცხრა შენი კაცი შემომკვდომია,
ცხრა დამიჭრია, ვოთარ ბატონო.
შენი ხარები ბაღყართში გამიყიდია,
შენი ცხენები აფხაზეთში გამიყვანია.
ახლა რას მიზამ სამაგიეროს?



5. — ახლა გაგყიდი, ლებსუყვ ჯაჭვლანო,
შენი საფასურით ჩოხას შევიკვრავე,
რაც გადამრჩება, მოყვრებს დაურიგებ,
ერთ ხარს შევწირავ პურის კიდობანს,
მეზრა ჭურს შევწირავ მეორე ხარსა,
მესამეს ლავხარს შევწირავ ლებსუყვ,
რაც გადამრჩება, ძაღლებს დაუყური.
შენში საფასურს ვინ დაიშურებს?!
— ერთი მითხარი, ვოთარ დარჩქელანო,
მე რომ გამყიდოს — ვინ გეგულება?
6. — უნდობი მგელი, ეშმაკი მელა,
აშლიანთ მურზა გაგყიდის, ლებსუყვ.
— მითხარ, მურზელა სად არის ახლა?
მადლი ჰქენი და თვალით მანახე.



— ის შორს არ არის,

კერიის უკან ბანდულებს ბანდავს.

ლებსუყმა მურზას თვალი შეავლო:

— თუ ეს მურზელა გამყიდის ლებსუყვს,

ჩემი ნაფასი ღმერთმა შეგარგოს.

და თუ მურზელა მე ვერ გამყიდის,

7. სამაგიეროდ რას გაიღებდი?

— კუთხვას გაჩუქებ ოქროს სალტიანს,

ამას უბრალოდ არ გავიმეტებ,


ჩემთა წინაპართ სახსოვარ კუთხვას.

იგი შენთვის არ დამენანება,

— მე თუ გამყიდის შენი მურზილა,

სირცხვილით უნდა დავიწვა მაშინ.





..მურზას ლოცავს დარჩქელანი,
ხანგარი და კუთხვა მისცა,
სამი ვერძი მისცა საგზლად
8. სამი ტიკი რანგით სავსე.
უთენია, როგორც ძაღლი
ყელზე ხარის შეენიაგით
წამომადღეს, წამიყვანეს,
ცხრა გამყოლი უკან მომდევს.

ეს, წყეული ჩემი ბედი,
არ ვიცოდი რა მელოდა!
ამიყვანეს, წამიყვანეს,
ცხუმარის ხიღს გამიყვანეს,
ხიდზე თეთულ მიდარაჯებს.







9. გაუცინე — ქვა მესროლა,
შევევედრე — ჯობი დამკრა.
ოი, თეთუ, არ გეძრახვის
ძმა გავეციდე შენი ეწბაშს.
მგონი, დიდი მადლი ვქენი,
ფუსდაი ვოთარს მოვაცილე.
მეორე ქვა ჰე, ადაი
რომ მესროლე, არ გეძრახვის,
შენი ჯოგი გავიტაცე —
ამით დიდი მადლი ვქენი,
10. ფუსდაი ვოთარ შევიჭამდა.
მესამე ქვა ო, ბეჩაი,
რომ მესროლე, არ გეძრახვის.
შენი ცხენი ჩერქეზს მივეც.





ამით დიდი მადლი ვქენი,
ფუსდაი ვოთარ წაგართმევდა.
რა გახარებთ, ძაღლის ლეკვნო,
თქვენს ბედს ჩემი მირჩევნია.

ღამეს სერიანთსა ვათევეთ.

ბნელ დილეგში გამომწყვდეულს

11. რაც რწყილებმა მე დამაკლეს,
კოლოებმა შოშითავეს.
უთენია წამომავდეს,
ამიყვანეს, წამიყვანეს,
ღამეს ლენხერაში ვათევეთ,
ხეზე მხრებით მიმათოკეს,
იქვე ცეცხლი გააჩაღეს.
თვითონ კარგად წაივანშმეს,



ერთი ლუკმა არ მაღირსეს.
ყარაულად მურზა დადგა,
12. ძილს მიეცა რვა გამყოლი.
დარჩქელანთა მონავ, მურზავ,
რანგი ბევრი მოგივიდა,
დარაჯს ძილი მოგერია,
თვლემ ხანგარზე დაბჯენილი.

დიდება შენ, ძილის ღმერთო,
შენ იყავი ჩემი მხსნელი!
ო, თითები ჩემი ფეხის
ღვთისგან იყოს დალოცვილი.
13. დადარს მივწვდი ცალი ფეხით,
მუგუზალი ავიტაცე.








ფეხი მეწვის, მაგრამ მაინც
მუგუსალი პირთან მიმაქვს,
პირით ზურგზე ცეცხლს ვიკიდებ,
ბაწარს ვწვავ და ზურგიც მეწვის.
თოკი ასე გადავჭერი,
თავი ვისსენ ტყვეობიდან.
მძინარ მურზას მივეჭერი,
პირს ჩაფჩარე ყაბალახი.
შვენიაგით ხეს მივაკარ,

14. რაზეც ვიყავ მიბაწრული.

რვა გამყოლი გავადვიძე:
— ვისაც გინდათ სახლში წასვლა,
ამ ჩემს რჩევას დაუჯერეთ:
იარალი გადაყარეთ.
ოთხმა — რჩევას დაუჯერა,





ოთხმა სული განუტევა,
მურზა ქაშაგს მივაყიდე
მერე ვოთარს მივადექი.


— ვოთარ ფუსღაი შინ ბრძანდება?


15. საფასური მოგიტანე,

ქალის ლეჩაქს ნუ იხურავ,
რაც თქვი, კიდეც აასრულე.

შენი კუთხვა და ხანგარი
როგორც დავთქვი, მე დამრჩება.
თუ მურზილა ვერ გამყიდდა,
მას საჩუქრად მე მაძლევდი.

— ვოთარ, კარგი ფუსღაი თუ ხარ,
ახლა უკან დამედევნე!





ლებსუყვს ცხენი აუშვია,
16. დარჩქელანის ჩერქეზულა.

— ოი, ლებსუყ, მამას ვფიცავ.
მომწონხარ და შემეყვარდი.
საჩუქარი შენთვის არ მშურს,
შემოდი და ყმად დამიდექ,
აშლიანებს ჩაგაბარებ,
ღვიძლ ძმასავით მეყვარები.
რაც გსურს, იმას აგისრულებ.

— თავისუფალი კაცი ვარ, ვოთარ,
ყმა ფრთამოჭრილი არწივი არის,
17. თავის ნებით ვერ გაფრინდება,







ესეც არ იყოს, ვოთარ დარჩქელანო,
თავისუფალი ხევის შვილი ვარ.
ყმად რომ დაგიდგე, ხევი დამცინებს,
ეს ხომ სიკვდილზე უარესია.
ჩვენ შორის ცივი წყალი ჩაღვრილა
თავისუფალ კაცს ყმობა რად უნდა?!
არ მინდა გთხოვო შენ მოწყალება,
და არც მოყვრობას შეგეფიცები.
ხანგარს და კუთხვას მაინც წავიღებ.

18. მტრიან კაცს ეს არ გამეწიბილება.

ვოთარმა ხალხი გამომადგენა,
ჰო, თქვე ბრიყვებო, მე რისთვის მომდევო
მე ხომ ვოთარის კაცი ვარ ასლა,
კუთხვა, ხანგარი საჩუქრად მომცა.





ესეც არ იყო, ს, როგორ დამიჭერთ,
თქვენ იარალი ვითარს უბოძეთ,
ცხენებიც მისთვის მიგირთმევეათ.
ჯობია, ახლავ უკან დაბრუნდეთ,
მუხის კეტები ცეცხლში ჩაყაროთ
19. და ნასუფრალით გამოიყოროთ.

მეორე კვირას ვითარს ვესტუმრე,
— კუთხვას და ხანგარს ვერ დაგიკავებ,
კუთხვას და ხანგარს უკან გიბრუნებ,
ცხენმა კი თქვენი ჭირი წაიღო.
— სახლში შემოდი, ლეხსუვე ჯაჭვლანო,
მართლაც ვაჟკაცად დაბადებულხარ,
დღეიდან ჩემი ძმა შენ იქნები.
დღეიდან ჩვენს ბელს ძალღი არ დაჰყევს.



20. — მხოლოდ ამისთვის შეგირიგდები.

შეურიგდა ვოთარ ლებსუყვს,
სტუმარი შინ შეიყვანა,
საჩუქარიც ბევრი მისცა,
კარგი სუფრაც გაუშალა.

ოი, საბრალო, ლებსუყვ ჯაჭვლანო,
კაცს კაცის სჯერა, შენც დაიჯერე.
შენ დაიჯერე ვოთარის სიტყვა...
დაუნდობელი ვოთარის ყმები,
შემოგსვეიან ყოველი მხრიდან.

21. პირიდან სისხლი მათ დაგადინეს,








ვოთარის ფერხთით პირქვე დაგაგდეს,
ფუსდაი ვოთარ თვალეზში გიმზერს,
— რას მიყურებ, მოლალატე!
ველარა მცნობ ლეზსუყვ ჯაჭვლანს?
შენი ძმობაც ეს ყოფილა.
რამდენი შენი კაცი მომიკლავს,
რამდენი მძიმედ დამიკოდიო,
რამდენი ქაშავს გამიყიდიო,
თავი წინასწარ ნასისხლარი მაქვს.

22. თუ ისევ ჩემი გაყიდვა გინდა,
მითხარ, რომელი გამყიდის ლეზსუყვს?
ის ერთადერთი ვინც მე გამყიდის
ნამსყურ ბრძანდება, მამაცი ნამსყურ.
დედას ახარე, ვერ მოისყიდი.





თუ მოისყიდი, მაშინ შეცდები.
მე ვარ ის ნამსყურ... ჩემ თავს გავყიდი?

ისევ გათოკეს ლებსუყვ ჯაჭვლანი
და შუალამით გზას გაუყენეს,
აწ ორჯერ მეტი გამყოლი გაჰყვა.

23. ერთ ბნელ ტვიბრაში ჯიქურ შევიდნენ,
ტვიბრა დევ-მხეცთა იყო საფარი.

„ჰოი, ბრიყვებო, ეცერელეზო!
მადლობა უფალს, ვარ უბორკილო,
ორი ნახტომით ხრამს გადავევლე
და ღუბაბივით დავგორდი ქვემოთ.
მდევარს გადავრჩი, წყალმა წამიღო,



ღმერთმა ახაროს თხმელის ტოტები,
მაშველად ხელი გამომიწოდეს.

შამბნარებში დავიმაღე,

24. თოკი კბილით გადავჭერი.

ღამით ვოთარს მივაღეჭი.

— ფუსდაი ვოთარ, წამოდექი!

ტყვის საფასი მოგივიდა,

შენთან მეგობრობა მწადდა,

სიტყვის გამტეხს არ შეგარჩენ


ღალატსა და ორგულობას.

ვოთარს ძალად ეღიმება,

თან კედელზე ხანგარს უმზერს,








- მაგრამ ლებსუყვს ვერ დაასწრებს.
25. — ღმერთმა იცოდეს, ვითარ დარჩქელან,
რომ არ მინდოდა შენი სიკვდილი,
ვერაგს ღალატი ვით გაპატიო,
დღეს რაც მოგივა, თავს დააბრალებ...


დარჩქელანს თავი გაადგებინა,
ხანგარი მხარზე გადაიკიდა.
ასე გაუყვა ლებსუყვ ბილიკებს,
ასე მოვიდა შუა ბეჩოში,

- მე ბეჩოელთა არ მეშინია!
ბეჩოელების სვიმრა მომყვება.
26. კუთხვა ვესროლე ფუსდასეული,
ერთი მდევარი ძირს გავაგორე.





ლატალის ზემოთ რომ ამოვედი,
ლატალის სვიმრა შეგროვილიყო,
მე ლატალელების არ მეშინია,
ლატალელები ჩემი ძმებია.
ლატალელებთან მტრობა რად მინდა,
ლებსუყვ ჯაჭვლანს ტყვიას არ ესვრით.

- ლატალის ზემოთ, ტრიალ მინდორზე,
ძმა მურზილასი შემომეყარა
27. და შუა გზაზე გადამეღობა.
— აშლიანების ნაგლეჯ-ნაშობო,
ეგებ არ გახსოვს ლებსუყვ ჯაჭვლანი?
— თუ კარგი დედის შვილი ხარ, ლებსუყვ,
ჩემთან ახლოს მოიწიე,
- 

- ლებსუყვ ახლოს რომ მივიდა,
სწრაფლ ხანგარი მოუქნია...
— წა, დედაშენს მოუყევი,
როგორ კმაყოფილი წახვალ,
მამაშენსაც მოუყევი,
28. ლებსუყვს ჯიქურ შევებიო...

გზას გაუყვა ლებსუყვ ზემოთ
მიღწია ლენჯერამდე,
წინ შემოხვდნენ ლენჯერლები,
— ლენჯერლებო, შიში არ მაქვს
დარჩქელანთა მდევარის,
ჩვენ ყველანი შვილები ვართ
უბატონო დიდი ხევის.



ასე შემოვედი მესტიაში,
მესტიელები შეკრებილან
29. — ჩვენი ლებსუყვ მოგვივიდა.
— მოგვივიდა, ისევ წავა —
დარჩქელანთა დასარბევად.

თეთრი ნიშა ხარი დაკლეს
ქედზე უღელ-დაუღმელი,
რქაზე დაუნთეს სანთელი,
კაცის გამჩენი ასხენეს,
თავი დედამზეს შესწირეს,
მარჯვენა ბეჭი მთვარესა,
ლოცვა შეჰკადრეს მნათობებს:



30. მახრანტს, მასკბაშს და ცისკარსა.

არ დაივიწყეს სვანეთის
ღმერთი ძველი და ახალი.

არ დაივიწყეს ნიშები:

ქვიში, ულიში, კვირია,
ლელაშხას ლოცვა-ვედრება,
ლამარიას და ლაგურკას.
წინაპრებს კათხა დაუდგეს
ფუსნალემზურ და ლავაში,
ყველგან ანთია სანთელი —

31. დგიმზე, ბანზე და ყანაში.

ლოცვა ვედრება აკმარეს
სხვაგან წასულს და გათხოვილს,
ცალკე დალოცეს ობლები,
გულა გატენეს გლახაკთა.





დიდი სუფრა გაიშალა,
სუფრა მარილით მოცვარეს,
მეზრა ჭურის სმა დაიწყეს,
დაიწყეს და ამოცალეს.
კაცებმა ღვინო დალიეს,

32. რანგი — ბავშვებს და ქალებს!
სამკეც ფერხული გამართეს
და უმღერეს მზეს და მთვარეს.





სიტყვების ახსნა

- ავამ — შიდა კირი სვანურ სახლში
 ვეშლარ — შიის სახელია თავისუფალ სვანეთში
 ვული — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 ვარცემ — წვევლის რიტუალი
 ვიცარ — ვერძი
 დვიმ — მოწუჭურთმული ვრძელი სკამი
 დოლ — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 ეცერ — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 ებუთ — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 თოთან — ადგილის სახელი
 კვირია — გახაფხულის ღვთაება
 ლენჯვერ — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 ლეხზარ — წყლის ჭურჭლების დასადგმელი
 ლაგურკა — სალოცავი სოფელ კალაში
 ლამზარია — სალოცავი სოფელ უშველში
 ლელაშხა — სალოცავი ლამზეთის თემში
 ლადღერ — ადგილის სახელია
 ლატალი — სოფელი ბალის შიის ძირას.
 ლიკვალედი — ძუძუთრი: თავის დამცირება
 ლიფეშალი — მოსამსახურებობა-მიკვლევა
 შური — ადგილის სახელია ცხენისწყლის ხეობაში
 მასრანტ — დიდი ძუ დათვის თანავარსკვლავედი
 მასკბაშ — საწორის თანავარსკვლავედი
 მეზრა ჭური — ტახუდადებული ჭური
 ქერახს — თაფლის ხანთღების მსხვილი კონა
 ქაშაენი — ჩერქეზები
 ქაშან — ვიწრო ვასასვლელი კლდეში
 ქაიშ — სალოცავი ზატი სოფელ სასაში
 ხანჯარ — ტიპიური სვანური მახვილის სახელწოდება
 ტეპერა — ხეობა — უღამური, უღრანი
 სეურ — კანაფის ქსოვილი
 ვარგალ — თავადებს და აზნაურს ვრძელი სვანეთში
 ყირმიწი — სითეთრეს გამოსატავს
 შდულ — კოშკის ქონგური
 ღუბაბ — ძაფის დიდი ვორგალი
 ცხუმარ — სოფელი ბალსქვემო სვანეთში
 ულიშ — სალოცავი ზატი მესტიის და სოფელ მასაში
 ფუსდაი — ღვთაებრივი — ღმერთის ტოლი
 ფუსნალემზერ — საღვთო ჭური





რედაქტორი გ. ზურაბიანი
გამომც. რედაქტორი დ. ციგროშვილი
მატერული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. კიკინაძე
კორექტორი დ. ქადაგიშვილი
გამომშვები ნ. კიკვაძე

გადაეცა წარმოებას 6/VIII 70 წ. სელმოწერილია
დასაბეჭდად 28/X-70 წ. ქალაქის ზონა 84X108¹/₁₆
კირაბითი ნაბეჭდი თაბახი 10. საადრიცხო-საგომომ-
ცემლო თაბახი 4.07. უე 01819. ტირაჟი 10,000
შეკვ. № 1071. ფასი 3 მან.

აიწყო და აიკინა ბ/ს კომბინატში, თბილისი, მარ-
ჯანიშვილის 5. დაიბეჭდა ფერადი ბეჭდვის სტამბაში
პლენარის 50.

Набрано и сброшировано в комбинате печати.
Тбилиси, Марджанишвили, 5. Отпечатано в типо-
графии цветной печати. Тбилиси, Плеханова, 50.



ЛАДЛЕР
ГРУЗИНСКИЙ НАРОДНЫЙ ЭПОС
(На грузинском языке)

Художник В. Опнаи

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1971



წ ი ვ ნ ი ს
საერთაშორისო
ფ ე ლ ი

